20.06.2018

ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში
2018 წლის მაისი

ექსპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 2,4 პროცენტით გაიზარდა. ფასების 2,8 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი გაიზარდა 13,2 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში დაფიქსირდა ფასების ზრდა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე 12,6 პროცენტით, ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე 19,5 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2018 წლის მაისში ექსპორტის ფასების ინდექსი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2017 წლის მაისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**113.2**	**13.24**
C	**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**119.5**	**1.75**
D	**გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**112.6**	**11.49**
DG	ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები	109.8	1.19
DJ	ძირითადი ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი	127.4	9.00

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

ექსპორტის ფასების ინდექსი
(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge